

საინფორმაციო ტექნოლოგიები პიზენსის ორგანიზაციაში

მაია ოხანაშვილი, მარინა კაშიძაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ბიზნესში წარმატების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს პროფესიონალური მართვა, პერსონალის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფის უნარი, სწორად იდენტიფიცირება, პროექტირება, ბიზნეს-პროცესების რეალიზება, ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტურად მართვა. ამ პირობებში თანამდებოვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომელიც შექმნილია ინტეგრირებულ ინფორმაციულ სისტემებზე, წარმოადგენს შეუცვლელ ინსტრუმენტს სტრატეგიული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფაში და კომპანიების მდგრად განვითარებაში. ელექტრონული კომერცია განიხილება, როგორც ბიზნესის თანამდებოვე ტექნოლოგია.

საკუთხო სიტყვები: საინფორმაციო ტექნოლოგიები. ელექტრონული კომერცია. ბიზნესის ორგანიზაცია.

1. შესავალი

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხდება როგორც წარმოების დაგეგმვის, აღრიცხვის, ანალიზისა და კონტროლის ამოცანების გადასაწყვეტად, ასევე საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური პროცესების შესასრულელბლად.

წარმოების ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქცია არის გადაწყვეტილების მიღება კონკრეტული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე, თავისი პროფესიონალური გამოცდილების, თეორიულ-პრაქტიკული მომზადებისა და ხშირად ინტუიციის გამოყენებით.


იზრდება ინტერნეტის ქსელში ბიზნესის წარმოების ეფექტურობა. ინტერნეტ-ბიზნესის განვითარების თანამდებოვე ტენდენციები ძალზე პერსპექტიულია. მისი როლი მსოფლიო ეკონომიკაში სულ უფრო და უფრო იზრდება. ინტერნეტის გამოყენება ბიზნესში სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს. იგი მარკეტინგული ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. თანამდებოვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას ბიზნესში უწოდებენ „ინტერნეტ-ეკონომიკას“. მისი გამოყენებით ძირულად იცვლება ბიზნესი. ეს ყველაზე მეტად შეიძჩნევა მაღალი ტექნოლოგიების სფეროში. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით იქნება ახალი ინტერნეტ კომპანიები.

2. ძირითადი ნაწილი

ძირითადი საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორებიცაა პროდუქციის წარმოების, რეალიზაციის, თვითღირებულების გეგმის შესრულება, რენტაბელობა, პროდუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერება, საშუალო ხელფასი და ა.შ. წარმოადგენს იმ მონაცემებს, რომლებიც მოქცეულია ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ და რომელთა განსაზღვრული მნიშვნელობების მისაღწევად წარიმართება მათი ყოველდღიური საქმიანობა. ხელმძღვანელი თავის ფუნქციებს შეასრულებს კარგად იმ შემთხვევაში, თუ იგი სრულად ფლობს სიტუაციას, თუ გააჩნია უტყუარი ინფორმაცია საწარმოო საქმიანობის შესახებ [1].

მენეჯერის მთავარ მიზანს წარმოადგენს მაქსიმალური მონდომება გამოიჩინოს, რათა მოქმედების მოდელი, რომელსაც იგი აგებს თავისი ბიზნესის სრულყოფისათვის შეივსოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით.

საინფორმაციო ტექნოლოგიებმა შეცვალეს არა მარტო მუშაობის, არამედ მათ შეცვალეს საქმიანი სტრატეგიული აზროვნების მეთოდი. ახლა ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები გამოიყენება არა მარტო მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ავტომატიზაციისათვის, ასევე ახალი იდეების რეალიზაციისა და კონკრეტული უპირატესობის მიღებისათვის (ნახ.1).



ნახ.1. Нefrit Атегоди დაგეგმვის სქემა

საინფორმაციო ტექნოლოგიები, IT – ეს არის დისკიპლინის და საქმიანობის სფეროს ფართო კლასი, რომელიც ეკუთვნის ტექნოლოგიების ფორმირებას და მართვის პროცესებს, ასევე გამოთვლით კომპიუტერულ და კომუნიკაციურ ტექნიკას.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ქვეშ იგულისხმება კომპიუტერული ტექნოლოგიები. IT უკავშირდება კომპიუტერების გამოყენებას და პროგრამულ უზრუნველყოფას, მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებას, შენახვას, დაცვას და ინფორმაციის გადაცემას მომხმარებლისათვის.

ინდუსტრიული ეკონომიკის გლობალიზაცია და ინდუსტრიული განვითარება მნიშვნელოვნად აფართოებს ბიზნესის შესაძლებლობებს. საინფორმაციო ტექნოლოგიები და ინფორმაციული სისტემები უზრუნველყოფს მობილურ შეღწევადობას, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნილებას გაყიდვის გატარებასა და წარმოების ხელმძღვანელობას ქვეყნებსა და კონტინენტებს მასშტაბში. ეს ქმნის ნაციონალური და რეგიონალური ფორმების მუქარას. გლობალური კავშირი და მართვის სისტემა მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას წინადადებებზე, ხარისხზე, ფასზე და შესაძლებლობას იძლევა შეთანხმების და შეკვეთების დადების 24 საათის განმავლობაში ნებისმიერ ადგილას სადაც შეიძლება ქსელში შეღწევა. გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს ყოველი თანამშრომლის მუშაობის ნაწილს, რომელიც პასუხს აგებს თავის სამუშაო ადგილზე.

თანამედროვე მდგომარეობა IT შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად: პროგრამულ-აპარატურული კომპლექსების და პლატფორმების დიდი რაოდენობით წარმოების ეფექტური მართვის, მონაცემთა ბაზით და დიდი მოცულობის ცოდნის შენახვით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საზოგადოების საქმიანობის ყველა მიმართულებით.

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები და მის საფუძველზე რეალიზებული ინფორმაციული სისტემები წარმოადგენს ძლიერ ინსტრუმენტს ორგანიზაციული ცვლილებებისთვის, რომლებიც

აიძულებს საწარმოს თავისი სტრუქტურის გადაპროექტებას, საქმიანობის სფეროს, კომუნიკაციების, რესურსების და სხვათა გათვალისწინებით.


საინფორმაციო ტექნოლოგიების გარეშე, კომპანიებს არ გააჩნიათ ორგანიზაციული ხედვა, კერზოლ, ფინანსური და მექანურული აღრიცხვიანობის ფუნქციონალობა მოიკოჭლებს, რომ არაფერი ვთქვათ ბიზნესის ანალიტიკურ შესაძლებლობებზე. შედეგად ყველაფერ ამას კომპანია მიჰყავს დაბალ შემოსავლიანობამდე, სუსტ ფინანსურ და აგრეთვე სუსტ რისკების მართვამდე.

ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის გარეშე კომპანიებს აქვს მაღალი ინტეგრაციის სარჯები და როგორც წესი, უწევს შეიძინოს პროგრამული უზრუნველყოფა მესამე გარე მსარისგან, რაც ხშირად არაფერებულია და იწვევს ფინანსური რესურსის გადაჭარბებულ ხარჯებას.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა კომპიუტერიდან მოუცილებლად 24 საათის განმავლობაში მივიღოთ უდიდესი ინფორმაციული რესურსი მომხმარებლის გეოგრაფიული ადგლომებარეობის მიუხედავად.

ელექტრონული კომერცია მსოფლიო ბიზნესის განვითარების თანამედროვე მეთოდოლოგიაა. იგი არა მხოლოდ ყიდვა გაყიდვის პროცესის წარმოებაა, რომელიც მიიღება ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინტერნეტ ქსელში, არამედ წარმოადგენს სხვადასხვა სახის ბიზნესის ოპერაციების წარმოების კომპლექსურ სისტემას (ნახ.2). ელექტრონული კომერციის დახმარებით შესაძლებელი ხდება ეკონომიკური და ფინანსური მიზნების მიღწევა, რომელიც სხვადასხვა ფორმების ინტერესებში დევს [2].

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომელიც გამოიყენება ელექტრონულ კომერციაში, მოიცავს სპეციალურ პროგრამულ და აპარატულ ინფრასტრუქტურულ სისტემას, რომელთაც ემსახურება საერთო დანართები და შესაბამისად საერთო სტანდარტული კანონმდებლობა [3].



ნახ.2. თანამედროვე ელექტრონული კომერციის სტრუქტურა

ინტერნეტი იქცა ახალი მიმართულების განვითარებისთვის ეკონომიკურ მეცნიერებასა და პარაქტიკაში ძირითად ქსელად, რომელსაც შეიძლება დავარქვათ „ინტერნეტ-ეკონომიკა“. ინტერნეტ-ეკონომიკას აქვს ტრადიციული ხასიათი და წარმოადგენს გარეგანი ეკონომიკური

საქმიანობის, ბაზრის პროდუქციის და მომსახურების გლობალური განვითარების ეფექტური ინსტრუმენტებს.

ინტერნეტ-ეკონომიკის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს „ელექტრონული კომერცია“. იგი ახორციელებს საქმიან ოპერაციებს და იყენებს ტელეკომუნიკაციურ ქსელს მონაცემთა გადაცემისთვის. ასეთი ოპერაციები ხორციელდება მწარმოებელ კომპანიებსა და პროდუქციის მომხმარებლებს შორის, ან კომპანიებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის.

3. დასკვნა

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებმა შეიძლება მიგვიყვანოს ორგანიზაციულ ცვლილებამდე სხვადასხვა ხარისხში. ყველაფერი დამოკიდებულია კომპანიის სტრატეგიაზე, მის საქმიანობაზე, ბიზნეს-პროცესების ქსელის განვითარების დონეზე, ინფორმაციული რესურსების ინტეგრირების ხარისხზე და რა თქმა უნდა საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე.

ლიტერატურა:

1. სურგულაძე გ., ოხანაშვილი მ., სურგულაძე გ. „მარკეტინგის ბიზნეს-პროცესების უნიფიცირებული და იმიტაციური მოდელირება. თბ., 2009
2. პეტრიაშვილი ლ., ოხანაშვილი მ., კიქაძე მ. „ელექტრონული კომერცია. თბ., 2009
3. Бондаренко Ю.М. Электронный Бизнес. Москва 2000.

ИНФОРМАЦИОННЫЕ ТЕХНОЛОГИИ В ОРГАНИЗАЦИИ БИЗНЕСА

Оханашвили М., Кашибадзе М.
Грузинский Технический Университет

Резюме

Основными критериями успеха в бизнесе стали профессиональное управление, умение обеспечить эффективную работу персонала, правильно идентифицировать, проектировать, реализовывать и совершенствовать бизнес-процессы, эффективно вести организационно-административную и хозяйственную деятельность. В этих условиях современные информационные технологии и создаваемые на их основе интегрированные информационные системы становятся незаменимым инструментом в обеспечении достижения стратегических целей и устойчивого развития компаний и организаций. Электронная коммерция рассмотрена как современная информационная технология бизнеса.

INFORMATION TECHNOLOGIES IN THE ORGANIZATION OF BUSINESS

Okhanashvili Maia, Kashibadze Marina
Georgian Technical University

Summary

The basic criteria of success in business became professional management, skill to provide effective work of the personnel, correctly to identify, project, realize and improve business - processes, effectively lead organizational - administrative and economic activities. In these conditions modern information technologies and the integrated information systems, created on their basis, become the irreplaceable tool in maintenance of achievement of the strategic purposes and steady development of the companies and the organizations. Electronic commerce is considered as modern information technology of business.